საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

ბრძანება №59

2014 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

,,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილის სათანადო სახის დაზღვევით უზრუნველყოფის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის № 31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომამისჯილის სათანადო სახის დაზღვევით უზრუნველყოფის წესისა და პირობების დადგენის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის №31 ბრძანებაში (სსმ, 290160000.22.038.016099,09/03/2012) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პირობების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1.საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს (შემდგომში – ადგილობრივი საბჭო) გადაწყვეტილების აღსრულებისას, მსჯავრდებულს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დროს, შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – პრობაციის ეროვნული სააგენტო) უზრუნველყოფს სათანადო სახის დაზღვევით.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი **სოზარ სუბარი**